

# EY საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები

მარტი 2019

---

## საქართველოს საგადასახადო კოდექსში დაგეგმილი ცვლილება

- 2019 წლის 18 მარტს, საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ იქნა კანონპროექტი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- კანონპროექტის თანახმად, ცვლილება შეევა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში, რომლის საფუძველზეც შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისგან გათავისუფლდება ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონება (გარდა მიწისა), თუ ამ პირის ოჯახის მიერ მიმდინარე კალენდარული წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები, 40,000 ლარის ნაცვლად, არ გადააჭარბებს 60,000 ლარს.
- კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, იგი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, 18/03/2019.

---

## საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ

- 2019 წლის 4 მარტს, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე გამოქვეყნდა საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ.
- ორგანული კანონის მიზანია სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა, სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო ადგილებზე მყოფ სხვა პირების უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა, ასევე, უზედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების შემცირება და პრევენცია.

- 2019 წლის პირველი სექტემბრიდან ორგანული კანონის მოთხოვნები გავრცელდება შრომის უსაფრთხოების სფეროში ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგზე, მათ შორის, საქართველოს შრომის კოდექსით მოწესრიგებულ შრომით ურთიერთობებზე.
- ორგანული კანონი ამოქმედდება ეტაპობრივად და სრულად ძალაში შევა 2019 წლის პირველი სექტემბრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 04/03/2019.

---

## საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკების კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს დამტკიცების შესახებ

- 2019 წლის 25 მარტს, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე გამოქვეყნდა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის № 56/04 ბრძანება კომერციული ბანკების კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს დამტკიცების შესახებ.
- ბრძანების თანახმად, საქართველოში მოქმედ ყველა კომერციულ ბანკს უნდა გააჩნდეს კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩო.
- ბრძანება ადგენს, რომ კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩო უნდა იყოს კომერციული ბანკის ზომისა და სირთულის შესაფერისი.
- ბრძანების მიხედვით, კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩო შესაბამისობაში უნდა იყოს კომერციული ბანკის მიერ გაწეულ საქმიანობასთან და სრულიად ინტეგრირებული უნდა იყოს კომერციული ბანკის მთლიანი რისკების მართვის პროცესში.
- ბრძანება ამოქმედდა 2019 წლის პირველი აპრილიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 25/03/2019

---

## საქართველოს ორგანული კანონის პროექტი საქართველოს შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე

- 2019 წლის 27 მარტს, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა საქართველოს კანონპროექტი საქართველოს შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
- კანონპროექტის თანახმად, დამსაქმებელი არის შრომით ურთიერთობაში სამუშაოს შემკვეთი. იგი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, პირთა გაერთიანება ან საჯარო დაწესებულება.
- დასაქმებული არის შრომით ურთიერთობაში სამუშაოს შემსრულებელი. იგი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი.
- კანონპროექტის მიხედვით, შრომითი ურთიერთობა არის ფიზიკური პირისთვის სამუშაოს შემკვეთსა და ამ ფიზიკურ პირს შორის დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობა.

- კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, იგი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, 27/03/2019

---

## „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონპროექტი

- 2019 წლის 27 მარტს, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა საქართველოს კანონპროექტი „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
- კანონპროექტის თანახმად, მზღვეველი, დაზღვევის შუამავალი, ვალდებულია უზრუნველყოს მომხმარებელთა უფლებების დაცვა მომხმარებელთან წინასახელშეკრულებო, ხელშეკრულების მოქმედებისა და მისგან გამომდინარე ვალდებულებების სრულად შესრულების ყველა ეტაპზე.
- კანონპროექტის მიხედვით, მზღვეველი ვალდებულია გამოაქვეყნოს ინფორმაცია აქციების 10% ან 10%-ზე მეტის უშუალო მესაკუთრისა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილი ფორმითა და წესით.
- კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, იგი ამოქმედდება ეტაპობრივად და სრულად ძალაში შევა 2019 წლის პირველი აგვისტოდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 27/03/2019.

---

## საქართველოს ორგანული კანონის „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონპროექტი

- საქართველოს პარლამენტში განიხილება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი.
- კანონპროექტის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებსა და მათ საკუთრებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე.
- კანონპროექტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო მიწა შესაძლოა იყოს უცხოელის საკუთრებაში, თუ მან ასეთი მიწა მიიღო მემკვიდრეობით. ასეთ შემთხვევაში, უცხოელი ვალდებულია უზრუნველყოს მიწის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უცხოელმა, სამი წლის ვადაში, უნდა გაასხვისოს ხსენებული მიწა.
- კანონპროექტის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო მიწა, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, შესაბამისი საინვესტიციო გეგმის საფუძველზე, შესაძლოა, ეკუთვნოდეს საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის დომინანტი პარტნიორი არის უცხოელი ან/და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი. ასეთი იურიდიული პირის მიერ საინვესტიციო გეგმით განსაზღვრული ვალდებულების

შეუსრულებლობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია უზრუნველყოს მიწის ნაკვეთის გასხვისება ერთი წლის ვადაში.

- უცხოელის ან საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის მიერ, კანონპროექტით დადგენილ ვადაში სასოფლო-სამეურნეო მიწის გაუსხვისებლობის შემთხვევაში, აღნიშნული მიწა გადავა სახელმწიფოს საკუთრებაში. ეს მოთხოვნა ვრცელდება ისეთ იურიდიულ პირზე, რომლის დომინანტი პარტნიორი არის უცხოელი ან/და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი.
- „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრის და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ კანონპროექტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლა წარმოებს წინასწარი ანაზღაურებით. დამატებით, ქონების ღირებულების დადგენისა და მისი ანაზღაურების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.
- თუ სასოფლო-სამეურნეო მიწი გასხვისებაზე ვალდებული პირი არ ეთანხმება მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობის სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლის პირობებს, ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლა წარმოებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესაბამისად.
- კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, იგი ამოქმედდება ეტაპობრივად და სრულად ძალაში შევა 2020 წლის პირველი იანვრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, 27/02/2019.

---

## „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის პაკეტი

- 2019 წლის 13 მარტს, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტი.
- ხსენებული კანონპროექტი განსაზღვრავს მედიაციის წარმოების ზოგად პრინციპებს, მედიატორთა პროფესიული გაერთიანების ორგანიზებისა და საქმიანობის წესს, მედიატორის უფლებამოსილებებსა და მედიაციის პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
- კანონპროექტის თანახმად, მისი მოქმედება ვრცელდება მედიაციის თაობაზე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე წარმართულ მედიაციასა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სასამართლო მედიაციაზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თავისებურებათა გათვალისწინებით.
- „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის პაკეტის მიღების შემთხვევაში, იგი ამოქმედდება ეტაპობრივად და სრულად ძალაში შევა 2020 წლის პირველი იანვრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, 13/03/2019.

## საკონტაქტო ინფორმაცია:

### ზურაბ ნიკვაშვილი

პარტნიორი | საგადასახადო და იურიდიული პრაქტიკის ხელმძღვანელი  
საქართველოსა და სომხეთში  
შპს „იუაი“

კოტე აფხაზის ქ. 44, 0105, თბილისი

ტელ: +995 (32) 215-88-11

[Zurab.Nikvashvili@ge.ey.com](mailto:Zurab.Nikvashvili@ge.ey.com)

### დოქ. გიორგი სვანაძე LL.M., MLB (Bucerius/WHU)

ასოცირებული პარტნიორი | იურიდიული პრაქტიკის ხელმძღვანელი  
შპს „იუაი“

კოტე აფხაზის ქ. 44, 0105, თბილისი

ტელ: +995 (32) 215-88-11

[George.Svanadze@ge.ey.com](mailto:George.Svanadze@ge.ey.com)

EY | Assurance | Tax | Transactions | Advisory

### EY-ის შესახებ

EY არის მსოფლიო ლიდერი აუდიტორული, საგადასახადო, ფინანსური გარიგებებისა და საკონსულტაციო მომსახურების სფეროში. ჩვენი საქმის სიღრმისეული ცოდნითა და მომსახურების მაღალი ხარისხით ხელს ვუწყობთ კაპიტალის ბაზრებისა და ეკონომიკის მიმართ ნდობის გაღრმავებას. ჩვენ ვაყალიბებთ გამორჩეულ ლიდერებს, რომლებიც ასრულებენ საზოგადოების წინაშე აღებული ჩვენს ვალდებულებებს და ამით უდიდესი წვლილი შეგვკავებს ჩვენი თანამშრომლებისთვის, კლიენტებისთვისა და ფართო საზოგადოებისთვის საქმიანი გარემოს გაუმჯობესებაში.

კომპანიის სახელწოდება EY აღნიშნავს „ერნსტ ენდ იანგ გლობალ ლიმიტედის“ წევრი ფირმების გლობალურ გაერთიანებას და/ან მის ერთ ან ერთზე მეტ წევრ ფირმას, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებელი იურიდიული ერთეულია. თავად „ერნსტ ენდ იანგ გლობალ ლიმიტედი“, რომელიც გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული მონაწილეთა გარანტიით შეზღუდული კომპანიაა, კლიენტებს მომსახურებას არ უწევს. ჩვენი ორგანიზაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ჩვენს ვებგვერდზე [ey.com](http://ey.com)

© 2019 შპს „იუაი“

ყველა უფლება დაცულია

<http://www.ey.com/georgia>

წინამდებარე მასალა მომზადებულია მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის მოწოდების მიზნით და არ უნდა განიხილებოდეს პროფესიულ რეკომენდაციად საბუღალტრო, საგადასახადო და სხვა სფეროებში. თქვენთვის საინტერესო საკითხებისთვის მიმართეთ ჩვენს პროფესიონალებს.

წინამდებარე მასალაში მხარეთა მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს EY-ის გლობალური ორგანიზაციის ან მისი წევრი ფირმების მოსაზრებებს. ამასთან, ისინი უნდა განიხილებოდეს მათი გამომხატვის დროს არსებულ კონტექსტში.